# საქართველოს გაზეთი

[illegible]

No. 26.


## ს ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს

### შინაგანი ამბავი საქართველოსა.

რომორცა ღენერალ - მაიორის თავადის მადათოვისა, რომელიცა განაგებს ნაწილსა მხედრობისასა დაღისტანსა შინა უწყის ჩვენ მხედრობათ საქართველოის ღენერალ-ლეიტენანტის და კავალერის ერმოლოვისაგან ბრძანებისა.

დაუმორჩილებელნი რა ვინმე ტიროლნი ერთგულებასა ზედა რუსეთის ყმობისადმი ხამი მაღალა ზემოს ტაბასარანის ნაწილისა უზღვნად წოდებული, რომელიცა ყოველთა ურჩევნასა შინა მდებარეობისადმი თვისისა მისაწვდომელისა, თვით წარსრულარს ერთად მტრის რიცხვის მხედრობის ნაწილით სოფელსა ხოშნისს, რომელსაცა შინა ყოველა მუხანათი ამდროს ბევრი გეგენაისა, და განუდგენ რა უმაგრესნი ადგილნი, სადაცა მტერსა არ ჰქონია მილოდება უეცარის ზედა დასხმისა, ვერ მოუწყვია დაპყრობად მათი, მკვიდრად შემოსდგომია ციხოსანის ჯარით ხსენებულს სოფელს ხოშნის, რომელსაცა შინა ყოფილან შეკრებილნი ყოველნი მცხოვრებნი ქვემოთა სოფლებისანი და იძულებით გამოუყვანია იგინი მუნითგან, ეპრემთვე თვით მუხანათიცა მძიმედ დაუჭრია და განუდევნია იგი სამფლობელოთაგან ტაბასარანისათა აკუშოს. რომელნიმე სოფელნი მუხანათისანი შემსხვერნი დაუწვავს და სოფელი ხოშნი და ყოველნი დამთომილნი ვექვსნი აღდგენილ დაუწესებიან ერთგულებასა ზედა ქვემო მწიგნობი იმპერატორის ყმობისადმი

ბრძოლასა ამას შინა მიღებული არს ორნი მუხანათის ამბავის მეგნის და წარმოგზავნილარსცა თავადის მადათოვისაგან უპირატეს მმართებლისადმი. ჩვენს მხარეს მხოლოდ ერთ დაკლება მოსცემია ერთი მოკლული არს და რვა დაჭრილ.

დაშვრომასა ამას შინა ახლანდ ხანს ქურისას უმეტესად განუსხვავდება თავისი მეუფისა მხოლოდ თვისითა მხნეობითა და ერთგულებითა ყოველადუმორჩილესისადმი ჩვენისა კეთილ მწიგნობი იმპერატორისა, და აგრეთვე ... ცა კეთილ შეთა მისთა და სხვათა ხასხანოთაგან შეკრებულთა ერთი, რომელ ძლევა მიუღიათ მათ თავისის მხედრობათა ჩვენთა მოსაწყლების მიუღებლად. უწყის უპირატესი მმართებელი საკუთრად ურთიერთობა ყოფის აქ მხედრობათ საქართველოის ღენერალ-ლეიტენანტისა და კავალერის ერმოლოვისადმი, რათა გამოუცხადოს მან გაზეთით მადლობაჲ თვისი აგრეთვე მოლოდინს ასლანხანს ქურისას დიდებისა მის მხედრობის წინამძღოლსა ღენერალ - მაიორს თავადს მადათოვს.

### გამოცხადებანი.

იმპერატორის ქვეყნისაგან ვაჭრობისაგან ეცხადება ყოველთავე.

ა.

მოწოდებულნი არიან რომელნიცა ისინი, რომელთაცა ვალი ჭმართებსთ თბილისის მოსავალს

ნარი შემთხვევასა ჩამოცვალებულის აზნაურს დიმიტრი ცაბაევსა და მის ცოლს სოფიასა და თბი-ლისისავე მცხოვრებს სოლომონ ნაზაროვსა, ეგ-რეთვე ისინიც რომელთაც მათი ჰმართებსთ, ასე რომ ისინი გამოცხადდნენ თბილისის უეზდის სუდში ამ გამოცხადების დღითგან დანიშნული ორს თვეზედ.

ბ.

მოწოდებულნი არიან როგორც ისინი, რო-მელთაც ჰსურსთ სყიდვა აზნაურთ ნონიასა და ჰოლისას არგუნოვთ სახლისა; რომელიც არის მეორეს ნაწილის პირველს კვარტალში დანიშნუ-ლი გასასყიდად იმ ექვსის თუმნის თეთრის ვა-ლის ველში, რომელიც ჰმართებსთ მათ დეკანო-ზის ტერმელქისეთოვისა, ეგრეთვე ისინიცა, რო-მელთაც დავა აქვსთ იმ სახლზედ. ასე რომ როგორც სყიდვის მწადენი, ისე მოდავენი სა-ბუთებით გამოცხადდენ ამ ექსპედიციაშიდ კბ, და ლა სეკდემბრის თვეში.

გარდა ამისა

გ.

გამოცხადების საზოგადოდ საცნობელად უფროსთა მცხოვრებთა საქართველოსათა დად-გინებულება უწინარესის საქართველოს მართებლო-ბის საზოგადოს შეტყობილებისა ამა ზედა, რა-თამცა ამიერითგან დაწყებული არავინ ემიებ-დეს არა ვითარსამე მოწმობათა თავადის დავით ტუსიშვილისა შორის, რამეთუ იგინი არსად და არა ვითარსამე შემთხვევათა შინა არცა სა-სამართლოთა ადგილთა და არცა კაცთაგან მიღე-ბულ იქმნებიან და მოწმობათა მათ მქონებელთ მხოლოდ ზიანი ექმნებათ თვისის დასარჩენი-სა.—

შემდგომად ფულების სამკურნალოს უპრა-ვის მხრითგან მეცადინეობათა, ქმნილთა მიქცე-ვასა ზედა შემთხვევად შეხამლებულთა უბე-დურთ შემთხვევათასა მთქუდლებელისაგან აქა ერისა შორის საგნებელის ჩვეულებისა მიქცევასა ზედა მიცვალებულთათანა, ამა ჟამადმდე ჯერეთცა არა იშვით უმეტესად გლახაკისა მდგომარეობი-სა მქონეთა კაცთა შორის, ჩვენებულ არიან მსგავსნი მოროტბმეენი. უპრავა იგი ეტლად თვისა დაადგენს, რათა ფურცელსა ამას შინა მოიხსენოს საგანსა ამას ზედა ბასუხი თვისი სა-ზოგადოობისადმი.

თვითეულისათვს მგრძნობელისა კაცისა მიუ-ცილებელ არს, რომელ მშობელნი და თვთ უმაღლო-ბელესნი მოყვასნი ჟამსა სიკვდილისა საყვარე-ლისა თანამეცხედრისა სახლეულებისა თვისისასა, რომელნიცა ფრიად ხშირად მოკლებისათვის მისი-სა ცხად ჰყოფენ მწუხარებასა თვისსა უზომოდ, და ჟამსა გარდმოცემისა ამათ სადმრთოთა მგრძნო-ბელობათასა მხოლოდ მისთვის გულს სტკენ, თუ ვითარ უმწრაფლეს მოიშორონ გარდაცვალე-ბული სახლითგან დამარხვითა; ატყუებენ ეგრეთა გარდაცვალებულის გვამის დამოწმებელ-საცა ცრუთა ჩვენებათა მიერ დროისათვს შედგო-მილისა სიკვდილისა. მომაკვდავნი განუხვენებ-ლობანი სიმრთელისათვს ვითარისამე ისტერიკის ქარის მქონებელის დედაკაცისანი, რომლისაცა ტკივილისა მეცადინობენ აღმხსნელ უმსწრა-ფლესის განშორებითა საყვარელისა საგანისათვს. სხვანი შინაურნი გარემოებანი, მოწყენანი დღესასწაულთანი, განკარგვის მოყვარებითნი ჩვე-ულებანი მოუთმენელთა მღვდელთანი ხშირადცა

ანაშენებულიან სახლუხა ამას ქვეყა-
.—

წყვათაგან საკნებელთა ამას ქვეყანასა
შინა ჩვეულებათა წარმოებულთა უმეცრებისა
ანუ ღირისხნის ჩვეულებისაგან, შეინიშნვიან
აქა უმეტესად დაცვა გარდაცვალებულთ სხეულთა
შორის ჯარისა და ნესტოთა, და სწრაფი შესუ-
დრვა გვამთა და თვითოეულისა კეთილ - მჯაზრ-
ველისა კაცისაგან მისახლომარს, რომელ ჩვეუ-
ლება ეს ფრიად საკნებალარს. — გულშემოყუ-
რანი, საკუნებელი სიკვდილი, ზამთრის მილი
რომელთამე ცხოველთა, რომელსაცა შინა იგინი
თვინიერ ნიშანთა სიცოცხლისათა, თვინიერ
ხმარებისა საზრდოსა, თვინიერ განავლისა
გრძლად მალულათ ყოფაჲ, გვიმტკიცებენ ჩვენ,
რომელ კაცსა მალუმს გარეგან იჩვენებოდეს
მკვდრად, გარნა სიცოცხლეჲ მას შინა იმალე-
ბოდეს. — ჩვეულებითნი ნიშანნი სიკვდილისანი
არიან, მაგალითად: ოდესცა ცემა მაჯისა და
გულისა დასცხრება, ოდესცა კაცი მოაკლდება
სუნთქვასა, მოძრაობასა და გრძნობათა, სი-
ცივე და სილბილე სხეულისა, ჩამოშვება ქვენა-
ყბისა, მოუსვენელობა სისხლისა განხსნილის
ძარღვთაგან, მბჟუნი თვალნი და სხვანი შემ-
დგომნი, საზოგადოდ ყოველნივე საეჭვო არიან,
გარნა შესაძლებელ არს, რომელ ნიშანნი ესე
აჩვენებოდენ და სიცოცხლეჲ სხეულსა შინა
კაცისსა ჯერეთცა არა გამქრალ იყოს. —
სრულისათვის სიკვდილისა შეუძლებელ არს,
დარწმუნებულიყოს უწინარეს, ვიდრემდის არა
შემოვალს სიდამპლეჲ, რომელიცა ცხადიქმნების
უსხებულითა მისდა სუნითა, ადვილ განშიშ-
ვლებითა ზემოსა ტყავისა სხეულისათა და დაყრი-
თ მომწვანოთა სალთათა მუცელსა ზედა. —
თვითოეული კაცი მიცემული მიწისადმი თვინიერ
ნიშანთა ამათ იმყოფების საშინელსა საშიშ-
როებასა შინა, რათა ცოცხლივ არა იყოს და-
მარხულ. — გარდა ამისა რომელნიმე სენნი
მახლობელ მოვლენან საგონებულისა სიკვდილისა-
დმი, ვითარ იგი სხვა და სხვანი ტკივილნი
პარლევიანი, ენება თავისა, მძინარეობა, შიშ-
ში, გულშემოყრანი, უმეტესად განგრძობილ-
ნი გულ - შემოყრანი ისტერიკის ქარის მქო-
ნებელთა დედაკაცთანი, მოუძლურება, სისხლის
დენა და სხვანი. — მრავალნი მაგალითნი გვიმ-
ტკიცებენ, რომელ შესაძლებელ - არს სიცოცხლეჲ
კვლად საფლავსაცა შინა მოიქცეს, და ვითარი
საშინელი ჭაზრი არს, უკეთუ ესრეთი უბედუ-
რი თუმცადა რამდენიმე მინუტა ესდენ მტან-
ჯველობითისა მდგომარეობასა შინა დაშთეს? —
მზრუნველობითა სამკურნალოსა უჰრავისათა გან-
წესებულ - არს ვითარცა უიმედოვნესი საშუა-
ლობაჲ გარემისაქცეველად მსგავსისა უბედურე-
ბისა დამიწება მიცვალებულთ გვამთა, ამისა-
თჳს განსწავლულ არიან კაცნი, რომელთაცა
ვალი აქვსთ, რათა დარწმუნდნენ სრულსა სი-
კვდილსა კაცისასა. და მას ჟამამდე არა ნება
ჰსცენ მიცვალებულის დამარხვისა; მაშა საღა-
მე მსწრაფლად გარდაცვალებულნი (ზემოხსენე-
ბულთ სნეულებათაგან), არა ჯერ არს რათა
დამარხულ იქმნენ უწინარეს მისა, ვიდრემდის
სიდამპლემან სხეულისამან არა იწყოს გამოცხ-
ადებაჲ; და ვიდრედა გარდაცვალებულნიცა მოძა-
უძლურებულთა და განგრძობილთა სნეულებათა-
გან ვითარ იგი წყალმანკისა და სიჭლექისაგან,
ზამთარით არა უწინარეს სამის დღის განვლისა,
ხოლო ზაფხულით შემდგომად ორისა დღისა. —
გარნა ვინადგან იწროებისაგამო ქვეყანასა ამ-
ას შინა საცხოვრებელთასა, გრძლად დაყენება
მიცვალებულთა არა თუ ოდენ დამამძიმებელ, არა-
მედ შეერთებულ არსცა საგნებელთა შედეგინებ-
ათანა, უმეტესად ჟამსა მოძხრველისა სენისა
და მსწრაფლ სხეულისა წარხდენისასა, ამისთვის
დადებულ - არს, და ამით ეცხადების, რათა შემ-
დგომად ამისა განჩენადმდე საკუთართა სახლთა,
რომელთაცა შინა თვითოეულისადმი ნებართულ

იქმნების ჭირვეულთა სახლთა შინა შემდგომად სიკვდილისა წარგზავნილებს მიცვალებულთა, ჯერ არს, რათა დაუტევებდენ ცეცხლთა სახლთა შინა ზამთარიც ორისა დღესა, ზაფხულით ერთისა დღესა, და უკეთუ შემდგომად განვლისა ჟამთანისა ამის, დაცვისათვის მკურნალისა სიკვდილი ჯერეთ ხაიშვი იყოს, მაშინ თანამდებ არიან რათა დაუტევებდენ სახლთა შინა თვისთა მიცვალებულთა კვალად გარდა ჟამთანისაცა ამის.

მოთხრობა

ერთმა მდაბლის გვარის ხელოვანმა კაცმა ფრიად შეიყვარა დიდებულის რომენსის ასული, რომელსაცა გაგონებაცა არ უნდოდა, რომე იგი ჰყოლოდა მდაბლისა და განსხვავებულთა ნიჭით არ მქონებელს კაცსა. მაგრამ ესრეთმა უარის თქმამ სიმხნე მაინც არ მოაკლო ამ ხელოვანს კაცსა, მან იწყო სწავლა მხატვრობისა. რამდენიმე წელი იმოგზაურა ამ ხელოვნების შესასრულებლად, იმყოფებოდა მრავალთა ქალაქთა შინა, რომელნიცა იდიდებიან უაღრესთა გამოცდილებათა მიერ, და გულს მოდგინედ გარდმოიღედა მირთა ნამდვილთა ხასიათაგან, იგი მოვიდა სამშობლოსა მამულსა შინა თვისსა ფრიად გამოჩენილს მხატვრად, და ერთს დღესზედ მივიდა იგი რომენსისთან, და რომ ვერ ნახა იგი სახლსა შინა დაუხატა მას ბუზი იმ სახეზედ, რომლისაცა სახე რომენს მხოლოდ მაშინ ენება, მას ამ დღეს მოემზადა ჩინებული ცხე რომენს თავის სამუშაოს შესასრულებლად. დაინახა მან მას ზედა ბუზი. ბუზის კვალი ბუქნია, ბუზმან ადგილი არ იცვალა, ეგრეთვე მეორეჯერ კვალი ბუქნია ბუზი იქიდამ არ აფრინდა, შემდგომად რომენსმა თვალი დააკვირვა, გაკვირვებით გასინჯა და ჰსცნა შეცთომა თვისი, მაშინ მკითხა მსახურთა თვისთა უწყებოდ ვინ მოვიდა, მას უპასუხეს ესე და ეს ხელოვანი კაცი. მას გარდა არავინ მოსულა, რომენსმა უბრძანა გამოუძებნი მოძებნეთ და აღტაცებით განუმეორა მათ ეს თქმა, ჰხოლოდ მის ჩემთან მოსვლამ, მას ჰქონან ნიჭნი ჭეშმარიტნი საკვირველნიო, ხელოვანი კაცი გამოეცხადა მასთან, და მასვე დღეს მიიღო ხელი მისგან შეყვარებულისა ქალისა.

ფრანცუზი ვინმე მიეკერი ასე გამოჩენილი მიზეზ იყო, რომე იდუმალ სადილად იქნა თავის მეგობართან უთხრა: ვალი დამრჩა და სადილთა მომიტანეთ, ეს დილად დაშვრა ამ ფიქრითა, რომ ვერ ესენი გამოეცნო იმისი ორის ჰაზრის მქონებელი თქმა, და მოლოდინთა უპასუხა, აი ამ ზმასკი ვპროდეზ ვერ მივხვდით.

რომლისამე თავადის შესავალთან იყო დაწერილი: აქ შემოდგმა ნახვა უხილავის ღვთი-კაცისა.—